



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/1

„ 12 „ იანვარი 2015 წ.

ბ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის №1/227 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის №1/227 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სხვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში:

თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
სასამართლოს მენეჯერი	1430
სასამართლოს მენეჯერი - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი	1430
განყოფილების უფროსი	1030
მოსამართლის თანაშემწე	960
სხდომის მდივანი (სასამართლოში, რომლის აპარატის სტრუქტურითა და საშტატო ნუსხით არ არის გათვალისწინებული მოსამართლის თანაშემწის თანამდებობა; მაგისტრატი მოსამართლის აპარატში)	960
სხდომის მდივანი (სასამართლოში, რომლის აპარატის სტრუქტურითა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია მოსამართლის თანაშემწის თანამდებობა, გარდა მაგისტრატი მოსამართლის აპარატისა)	685
სასამართლოს თავმჯდომარის პირადი მდივანი	605
წამყვანი სპეციალისტი	605
სპეციალისტი (სასამართლოში, რომლის აპარატის სტრუქტურითა და საშტატო ნუსხით არ არის გათვალისწინებული წამყვანი სპეციალისტის თანამდებობა)	605
სპეციალისტი (სასამართლოში, რომლის აპარატის სტრუქტურითა და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია წამყვანი სპეციალისტის თანამდებობა)	570
სპეციალისტი (სამეურნეო საკითხებში)	570
ქსელის ადმინისტრატორი	620

მანდატურის სამსახურის უფროსი	1030
მანდატური	685
კურიერი	485
თარჯიმანი	450
დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი)	510
დამხმარე მოსამსახურე (სამეურნეო საკითხებში)	310
დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	310“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

